




ელექტროენერგეტიკის სექტორის მიმოხილვა



ზოგადი მიმოხილვა და სტატისტიკა
ბაზრის სტრუქტურა

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ ბაზარს მრავალი მონაწილე ქმნის: ელექტროენერჯის მწარმოებლები, გამანაწილებელი კომპანიები, იმპორტიორები, ექსპორტიორები, მომხმარებლები, მარეგულირებელი კომისია და სხვა.

დიაგრამა 1: ელექტროენერჯის ბაზრის სტრუქტურა




ელექტროსადგურები. საქართველოში ელექტროენერჯის გენერაციის ორი ძირითადი წყარო არსებობს - ჰიდროელექტროსადგურები (ჰესი) და თბოელექტროსადგურები (თესი).

ჰიდროსადგურის მშენებლობის სპეციალური ნებართვის მიღების და მშენებლობის დასრულების შემდეგ საწარმო რეგისტრირდება წარმოების ლიცენზიანტად. ჰიდროელექტროსადგური, რომლის დადგმული სიმძლვრე 13 მგვტ-ს არ აღემატება დერეგულირებულა: არ საჭიროებს წარმოების ლიცენზიას, ირჩევს გამომუშავებული ელექტროენერჯის გაყიდვის გზას და დამოუკიდებლად აწარმოებს ფასზე მოლაპარაკებას. ამჟამად ქვეყანაში 19 ლიცენზირებული და 50-მდე მცირე, დერეგულირებული ჰიდროსადგური ფუნქციონირებს. ყველაზე მსხვილი გენერაციის წყარო ენგურჰესია, რომელიც ქვეყანაში გენერირებული ელექტროენერჯის დაახლოებით მესამედს ქმნის. ენგურჰესი და ვარდნილჰესი, რომელთაც საჭიროებისამებრ შეუძლიათ სისტემაში ელექტროენერჯის მიწოდება დააბალანსონ და სარგებლობენ რეგულირებული ტარიფით, მარეგულირებლად ითვლებიან.


თბოსადგურები (ტყიბულის თბოსადგურის გარდა) გარანტირებული სიმძლავრის წყაროს წარმოადგენენ. მათი ძირითადი დანიშნულება სისტემაში წარმოქმნილი ელექტროენერჯის დანაკლისის შევსებაა. თესები საქართველოს ელექტროსისტემის სტაბილურობას უზრუნველყოფენ და საჭიროა მათი მუდმივი მზადყოფნა, რათა ნებისმიერ მომენტში გამოიმუშაონ ელექტროენერჯია.

გრაფიკი 1: გამომუშავებული ელექტროენერჯის განაწილება გენერაციის წყაროების მიხედვით, 2015 წელი

ჰიდროსადგურების გამომუშავება **78%**




თბოსადგურების გამომუშავება **22%**



2016 წლის საპროგნოზო ბალანსში გარდაბნის თბოსადგურის წილი მთლიანი გენერაციის 12%-ს შეადგენს

* გარდაბნის თბოსადგურმა ოპერირება 2015 წლის ბოლოს დაიწყო
წყარო: ესკო

გრაფიკი 2: ელექტროენერჯეტიკის წყაროების პროცენტული წილი მთლიან მიწოდებაში



* საპროგნოზო მაჩვენებლები
წყარო: ესკო

გამანაწილებელი კომპანიები მთელი ქვეყნის მასშტაბით აწვდიან ელექტროენერჯეტიკის საბოლოო მომხმარებელს. საქართველოში სამი დისტრიბუტორი ფუნქციონირებს: სს „თელასი“, რომელიც თბილისში არსებულ მომხმარებლებს ემსახურება, სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუცია“, რომელიც კახეთის რეგიონს ამარაგებს და სს „ენერჯო-პროჯორჯია“,¹ რომელიც დანარჩენ საქართველოს ემსახურება. დისტრიბუტორმა კომპანიებმა 2015 წელს ქვეყანაში მოხმარებული ელექტროენერჯეტიკის 70% გაანაწილეს.

ესკო (ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი) სააქციო საზოგადოებაა, რომლის 100%-ის მფლობელი სს „საპარტნიორო ფონდია“. ესკოს ფუნქციონირება საბალანსო ელექტროენერჯეტიკითა და გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა, ელექტროენერჯეტიკის საბითუმო ყიდვა-გაყიდვის აღრიცხვა და სხვა.

პირდაპირი მომხმარებლები. მწარმოებლებს შეუძლიათ პირდაპირი გზით გაყიდონ ელექტროენერჯეტიკა მომხმარებლებზე. ამისათვის საჭიროა რომ მომხმარებელი წლიურად მინიმუმ 1 მლნ. კვტ. სთ ელექტროენერჯეტიკას მოიხმარდეს. 2017 წლიდან პირდაპირ მომხმარებლად დარეგისტრირება შეეძლება იმ მომხმარებლებს, რომლებიც წლიურად 1 კვტ. სთ-ს ან მეტს მოიხმარენ. ამაჟამად საქართველოში სულ ოთხი პირდაპირი მომხმარებელია რეგისტრირებული: შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, შპს „ჯორჯიან მანგანეზი“, სს „საქართველოს რკინიგზა“ და შპს „ჯეოფერომეტალი“. აქედან მხოლოდ პირველი სამი მოიხმარს ელექტროენერჯეტიკას ყიდვა-გაყიდვის პირდაპირი კონტრაქტის საშუალებით და 2015 წელს მათ მიერ მოხმარებულმა ელექტროენერჯეტიკამ ქვეყნის მთლიანი შიდა მოხმარების 12% (1.2 მლრდ. კვტ. სთ) შეადგინა.

გადამცემი კომპანიები. ელექტროენერჯეტიკის გადამცემი ქსელი მუდმივ მომსახურებასა და განვითარებას საჭიროებს, რასაც გადამცემის ლიცენზიანტები ახორციელებენ. საქართველოში ელექტროენერჯეტიკის გადამცემის სამი ლიცენზიანტია: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე) რომლის აქციების 100% სს „საპარტნიორო ფონდის“ მფლობელობაშია, სს „ენერჯოტრანსი“, რომელიც სსე-ს შვილობილ კომპანიას წარმოადგენს და სს „საქრუსენერჯო“, რომლის აქციონერებიც არიან საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო და რუსეთის გაერთიანებული ენერჯოსისტემა. ეს კომპანიები ფლობენ გადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებს, ახორციელებენ სხვადასხვა ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობას, მონტაჟს, რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციას.

დისპეტჩერი. საქართველოში ერთადერთი ლიცენზირებული სისტემის ოპერატორია (დისპეტჩერი) საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე). მისი მოვალეობაა საქართველოს ელექტროსისტემის ტექნიკური მართვა და ენერჯოსისტემის, როგორც ერთიანი ობიექტის, ნორმალურ და ავარიულ რეჟიმში მუშაობის უზრუნველყოფა.

ქვეყნის ელექტროსისტემას ზედამხედველობას უწევს და არეგულირებს სახელმწიფო ორგანიზაცი-

1 ენერჯო-პრო დისტრიბუციის გარდა ელექტროენერჯეტიკის გენერაციით არის დაკავებული.


ებისაგან დამოუკიდებელი ორგანო - „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“. იგი ახორციელებს საქართველოს ენერჯეტიკული ბაზრის მონიტორინგს, ადგენს წესებსა და პირობებს ელექტროენერჯიის გენერაციის, გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და განაწილებისათვის, გაცემს და აუქმებს ლიცენზიებს კანონმდებლობის შესაბამისად², არეგულირებს ტარიფებს და სხვა.

ბაზრის თავისებურებები

საქართველოში, როგორც უკვე აღინიშნა, ელექტროენერჯიის გენერაციის ძირითად წყაროს ჰიდროელექტროსადგურები წარმოადგენენ. ჰესის მიერ ენერჯიის გამომუშავება მდინარეში წყლის დონეზეა დამოკიდებული (ძირითადად დერივაციული ტიპის

ჰესებისთვის). შედეგად, ჰიდროელექტროენერჯიის გამომუშავება სეზონურად ცვალებად ხასიათს ატარებს. საქართველოში წყალუხვობის პერიოდი მაისიდან აგვისტომდეა. ამავე პერიოდში ქვეყანაში ელექტროენერჯიის მოხმარების შედარებით დაბალი დონეა და ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია მნიშვნელოვანწილად აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნას (შიდა მოხმარების 81%-82% 2014 და 2015 წლებში³), ხოლო ჭარბი ელექტროენერჯია გადის ექსპორტზე. შემოდგომა-ზამთარში, როდესაც წყლის დონე დაბალი და ჰესების გამომუშავება შემცირებულია, ელექტროენერჯიის მოხმარება საპირისპირო ტენდენციით ხასიათდება. ელექტროენერჯიის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის გაზრდილი სხვაობის დასაბალანსებლად გამოიყენება თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერჯია და მეზობელი ქვეყნებიდან იმპორტირებული ელექტროენერჯია.


გრაფიკი 3: ელექტროენერჯიის გენერაციის სეზონურობა (მლნ. კვტ. სთ)



* საპროგნოზო მაჩვენებლები
წყარო: ესკო

2 „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ლიცენზირების წესების შესაბამისად.
3 აფხაზეთის მოხმარების გათვალისწინებით.

გრაფიკი 4: ელექტროენერჯეტიკის მოხმარება (მლნ. კვტ. სთ)




* საპროგნოზო მარჩვენებელი
წყარო: ესკო, საქსტატი

ბაზრის არსებული მდგომარეობა

ჰესების მიერ წარმოებული ელექტროენერჯეტიკის ძირითად ნაწილს ადგილობრივი ბაზარი მოიხმარს, ხოლო ჭარბი ენერჯია გადის ექსპორტზე. მეზობელი ქვეყნებიდან მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზარს მხოლოდ თურქეთი წარმოადგენს.


2015 წელს თურქეთში ექსპორტირებულმა ელექტროენერჯიამ მთლიანი გენერაციის 4% შეადგინა, რაც 400 მლნ. კვტ. სთ-ს აღემატება.

გრაფიკი 5: ელექტროენერჯით საგარეო ვაჭრობა (მლნ. კვტ. სთ)




წყარო: ესკო

გრაფიკი 6: ელექტროენერჯეტიკის იმპორტი (მლნ. კვტ. სთ)



წყარო: ესკო

გრაფიკი 7: საბალანსო ელექტროენერჯეტიკის საშუალო შენონილი ფასი (თეთრი)



წყარო: ესკო

გარანტირებული სიმძლავრის წყაროების ტარიფი რეგულირდება მარეგულირებელი კომისიის მიერ. თბოსადგურებს ტარიფი ორი ნაწილისაგან შედგება - გარანტირებული სიმძლავრის საფასური და წარმოებული ელექტროენერჯეტიკის ტარიფი. მიუხედავად იმისა, რომ თესების მიერ გამოთქმული ელექტროენერჯეტიკა, ჰესების მიერ გამოთქმულზე ძვირია და ასევე ძვირი ჯდება ამ სადგურების მომსახურება, მათი არსებობა სისტემის უსაფრთხოების და მდგრადობის გარანტია.


2016 წლის მდგომარეობით საქართველოში გარანტირებული სიმძლავრის წყაროებია:

- ▶ შპს „მტკვარი ენერჯეტიკის“ გარდაბნის თბოელექტროსადგურის #9 ენერგობლოკი,
- ▶ შპს „ჯიფაუერის“ ბუნებრივ აირზე მომუშავე, აირტურბინული თბოელექტროსადგური,

- ▶ შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“ თბილსრესის #3 და #4 ენერგობლოკები,
- ▶ შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ კომბინირებული ელექტროსადგური.

ამ სადგურების გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველსაყოფად 2015 წელს სულ 67.8 მლნ. ლარი დაიხარჯა. 2016 წელს მოსალოდნელია ამ ხარჯის ზრდა, რაც ახლად გახსნილი გარდაბნის კომბინირებული ელექტროსადგურის სიმძლავრის მაღალი საფასურის შედეგი იქნება. მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფის მთლიანმა საფასურმა 60 მლნ. ლარს გადააჭარბა. ამ თანხის 70% (42.8 მლნ. ლარი) კი მხოლოდ გარდაბნის ახალი კომბინირებული თბოსადგურის მომსახურების საფასურია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გარდაბნის ახალი თბოსადგური სხვა თბოსადგურებთან შედარებით უფრო ეფექტურია (გამომუშავება შედარებით იაფია).

გრაფიკი 8: გარანტირებული სიმძლავრის წყაროების გამომუშავება, იანვარი-აპრილი 2016 (მლნ. კვტ. სთ)



წყარო: ესკო

მოსაპოვებლად ტენდერში გამარჯვებული კომპანია ზამთრის თვეებში წარმოებულ ელექტროენერჯიას წინასწარ შეთანხმებულ ფასად მიყიდის ესკოს. ცხადია ეს შეთანხმება ახალი გენერაციის ობიექტისათვის გენერირებული ელექტროენერჯიის რეალიზაციასთან დაკავშირებული რისკის შემცირებას უწყობს ხელს.

ბოლო წლების განმავლობაში ჰიდროელექტროენერჯიის მიწოდების ზრდის ტემპი მოხმარების ზრდას ვერ ეწევა. შესაბამისად იზრდება შედარებით ძვირი ენერჯიის მოხმარების წილი, რაც საბოლოოდ ტარიფზე აისახება. ააშკარაა, რომ ენერჯეტიკულ ბაზარზე არსებობს ჰიდროენერჯიის ზრდის საჭიროება.

გრაფიკ 9-ზე ნაჩვენებია ჰიდროსადგურების სამომავლო განვითარების გეგმა. არსებული და მშენებლობის ეტაპზე მყოფი ჰესები მოხმარების 3%-იანი ზრდის პირობებშიც კი ვერ დააკმაყოფილებენ მოთხოვნას. მშენებლობისა და ლიცენზირების ეტაპზე მყოფ ჰესებს შორის აღსანიშნავია სამი მსხვილი პროექტი:

საინვესტიციო მიზნადგეგმვა

საქართველოში არსებული უხვი წყლის რესურსი ჰიდროენერჯიის გენერირების დიდ პოტენციალს ატარებს. საქართველოში ჰიდროელექტროენერჯიის გენერაციისათვის გამოსადეგი 300 მდინარის რესურსის მთლიანი წლიური პოტენციური სიმძლავრე დაახლოებით 15000 მგვტ, ხოლო წლიური გამომუშავება 50 მლრდ. კვტ. სთ-ია. არსებული პოტენციალის 80% ჯერ ისევ ასათვისებელია. ჰიდროენერჯიის სიახლე კი ზრდის მის კონკურენტუნარიანობას და მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს ინვესტორებში.

ახალ ჰიდროელექტროსადგურზე ლიცენზია აშენების, ფლობისა და ოპერირების უფლებით გაიცემა. ამასთანავე, 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ აშენებული ჰესები დერეგულირებულია. ისინი თავად ირჩევენ გენერირებული ელექტროენერჯიის გაყიდვის მეთოდს და დამოუკიდებლად აწარმოებენ ფასზე მოლაპარაკებას. უფასოა ელექტროგადამცემ ქსელთან მიერთებაც. ამასთანავე, ყველა მწარმოებლისათვის ელექტროენერჯიის ექსპორტის ფასი თავისუფალია.

2015 წლის აპრილის შემდეგ საქართველოში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვის


ცხრილი 1.

დასახელება	დადგენილი სიმძლავრე (მგვტ)	წლიური გამომუშავება (მლნ. კვტ. სთ)	მშენებლობის დასრულების თარიღი
ნენსკრა ჰესი	280	1194	2019-2021
ნამახვანის კასკადი	441	1579	2021
ხუდონ ჰესი	702	1528	2020

წყარო: სსე

ნენსკრა ჰესი მშენებლობის ეტაპზეა და ექსპლუატაციაში 2019 წელს შევა, ხოლო პროექტი სრულად 2021 წელს დასრულდება. ხუდონჰესი და ნამახვანის კასკადის ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია და მათი სავარაუდო განხორციელების თარიღები შესაძლოა შეიცვალოს. თუ მოხმარების ზრდამ 3%-ს არ გადაჭარბა, ამ ჰესების დროულად ამუშავების შემთხვევაში ჰიდროელექტროენერჯიის მიწოდების დეფიციტი დაიფარება. თუმცა, მოხმარების უფრო სწრაფი ზრდის ტემპის პირობებში კვლავ იქნება ელექტროენერჯიის სხვა წყაროების გამოყენების საჭიროება.

გრაფიკი 9: ჰიდროელექტროენერჯის განვითარების გეგმა (მლრდ. კვტ.სთ)



ელექტროენერგეტიკის სექტორში არსებული გამოწვევები

▶ სექტორის გრძელვადიანი განვითარების განსაზღვრა და ცხადი მესიჯები დაინტერესებულ პირთათვის

ენერგეტიკული პოლიტიკისა და 10 წლიანი განვითარების გეგმის პარალელურად საჭიროა სისტემის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის არსებობა. დარგის განვითარების სტრატეგია სახელმწიფოს გრძელვადიანი ხედვის მაჩვენებელია, რაც უმთავრესი დოკუმენტია პოტენციური ინვესტორებისათვის. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, რომ არსებობდეს ენერგეტიკის დარგის გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ასევე საყურადღებოა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში განვერიანების მიზნით საქართველომ ელექტროენერგეტიკის სექტორში უნდა განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილებები გამჭვირვალე და თავისუფალი ბაზრის ჩამოსაყალიბებლად, ასევე საინვესტიციო მიმზიდველობის გასაზრდელად. გრძელვადიან ხედვაში ნათლად უნდა

განისაზღვროს ევროკავშირთან დასაახლოებლად გადასადგმელი ნაბიჯები და მოხდეს გასატარებელი ცვლილებების ბაზრის მონაწილეებზე შესაძლო გავლენის ანალიზი.

▶ **ელექტროენერჯის დისპეტჩერიზებისას პრიორიტეტების განსაზღვრა:** მცირე, დერივატიული ტიპის ჰესებისათვის უპირატესობის მინიჭება. ამ მეთოდის თანახმად ელექტროენერჯის მიწოდებისას დისპეტჩერი ჯერ წყალსაცავის არმქონე ჰესების, შემდეგ წყალსაცავიანი ჰესების გამომუშავებულ ელექტროენერჯის გაანაწილებს ქსელში. ხოლო სულ ბოლოს დადგება გარანტირებული სიმძლავრის წყაროები ამუშავების საჭიროება. ასეთი მეთოდის დანერგვა შეამცირებს არასაკმარისი მოთხოვნის გამო დაღვრილი წყლის მოცულობას, რაც ყველაზე ხშირად წყალსაცავის არმქონე ჰესების შემთხვევაში ხდება. გარდა ამისა, ასეთი სისტემის დანერგვა მნიშვნელოვნად ნაახალისებს გამდინარე ტიპის, მცირე ზომის ჰესების მშენებლობას, რადგან ისინი ელექტროენერჯის გაყიდვის უპირატესობით ისარგებლებენ. რეზერვუარის არმქონე ჰესების მშენებლობა სხვა ტიპის ჰესებთან შედარებით დაბალ კაპიტალდაბანდებას მოითხოვს და ასევე აღსანიშნავია, რომ ასეთი მცირე ჰესები, წყალსაცავიან ჰესებთან შედარებით ნაკლებ ზიანს აყენებენ გარემოს.

▶ **საქართველოში ტრანსსასაზღვრო გადამცემი ქსელის განვითარება** ხელს შეუწყობს როგორც ექსპორტის შესაძლებლობის ზრდას, ასევე საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის ჩამოყალიბებას. საქართველოს ელექტროსისტემა, როგორც უკვე აღინიშნა, სეზონური ხასიათისაა. მომავალ წლებში ახალი ჰესების დამატება წყალუხვობის პერიოდში წარმოქმნის ჭარბ ელექტროენერჯიას. ელექტროენერჯიის ბაზრის სამომავლო განვითარების გათვალისწინებით საქართველოს გადამცემმა ქსელმა უნდა უზრუნველყოს თურქეთის მიმართულებით გაზრდილი საექსპორტო სიმძლავრეების გატარება, ხოლო რუსეთიდან სომხეთის მიმართულებით ელექტროენერჯიის გაზრდილი მოცულობის ტრანზიტი. ამისათვის საჭიროა არამარტო საქართველოს საზღვრებში მძლავრი გადამცემი ქსელის არსებობა, არამედ მოსაზღვრე ქვეყნებში მიმდებარე ტერიტორიაზე შესაბამისი სიმძლავრის გადამცემი ხაზების მშენებლობაზე მოლაპარაკებების აქტიური წარმოება.

▶ **სისტემის უსაფრთხოებისა და საიმედოობის გაზრდა.** საქართველოს ეკონომიკური განვითარე-

ბის შესაბამისად საჭიროა შიდა გადამცემი ქსელის განვითარება. ახალი საწარმოები ქმნიან დამატებით მოთხოვნას ელექტროენერჯიაზე. მიმდინარე წელს უცხოელ ვიზიტორთა გაზრდილი ნაკადი ასევე მნიშვნელოვნად გაზრდის ტურისტულ ზონებში ელექტროენერჯიაზე მოთხოვნას. ახალი ქვესადგურების და გადამცემი ხაზების დამატება საჭიროა ქსელის მდგრადობისათვის და გაზრდილი სიმძლავრის გატარების უზრუნველსაყოფად.

გადამცემი ქსელის განვითარება ასევე საჭიროა ავარიული გათიშვების რაოდენობის მინიმუმამდე დასაყვანად და ძაბვის დასარეგულირებლად.

▶ **იმპორტის ჩანაცვლება.** ჰიდროენერჯორესურსის მეტად ათვისება ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის მატებას. იმპორტირებულ ელექტროენერჯიაზე შედარებით ნაკლებად დამოკიდებულება გაზრდის ქსელის საიმედოობას, ხოლო ჰიდრორესურსების წილის ზრდა მთლიან მოხმარებაში დადებითი იქნება როგორც ფინანსური, ასევე ეკოლოგიური თვალსაზრისით.

ბიბლიოგრაფია

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსათვის (WEG). საქართველოს ენერგეტიკული სექტორი ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში. თბილისი, 2015.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №10 „ქსელის წესების“ დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №33 „ელექტროენერჯიის ტარიფების შესახებ“.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. 2015 წლის ანგარიში. თბილისი, 2016.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება №77 „ელექტროენერჯიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა. „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2016-2026“, 2015.

საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“.

International Energy Agency. Energy Policies Beyond IEA Countries: Eastern Europe, Caucasus and Central Asia. 2015.

წინამდებარე გამოცემა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა და არ ემსახურება საკონსულტაციო მიზნებს. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია არ არის პასუხისმგებელი გამოცემაში მითითებული წყაროების მონაცემების სიზუსტეზე.

ეკონომისტი: ნათია ბანცური | პროექტის ხელმძღვანელი: ნანა ცერცვაძე

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია

მისამართი: გ. ლეონიძის ქ. №2 | ტელეფონი: 995 32 2202215 | ელ.ფოსტა: info@bag.ge

www.facebook.com/BusinessAssociationofGeorgia

www.bag.ge